შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ანგარიში შეთანხმებულ პროცედურებზე
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებების შესახებ

2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

ECOVIS®
GEORGIA AUDIT

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის:აფაქიძის ქუჩა #5,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი, საქართველო, 0160

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ მონაცემებზე

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ მოცემული პროცედურები - შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) ბუღალტრულ ბაზაზე 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარების მიზანი და ანგარიშის გამოყენებისა და გავრცელების შეზღუდვა

ჩვენი ანგარიში მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ დავეხმაროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმის დადგენაში, სწორად არის თუ არა წარდგენილი ფედერაციის (სფფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისში ჩამოთვლილი თანამშრომლების მიმართ 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებული კრედიტორული დავალიანებები და ამიტომ შესაძლოა არ გამოდგეს სხვა მიზნებისთვის. ეს ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა და არც უნდა გავრცელდეს სხვა მხარეებზე.

დამკვეთი მხარის პასუხისმგებლობა

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ შეთანხმებული პროცედურები ამ გარიგების მიზნის შესაფერისია.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმ საბუღალტრო ბაზის სისწორეზე და სისრულეზე, ასევე იმ მოწოდებული დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობაზე, რომლის მიმართაც ჩავატარეთ შეთანხმებული პროცედურები.

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4400-ის (გადასინჯული) - „გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე“ შესაბამისად. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება გულისხმობს, რომ ჩვენ ვატარებთ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ პროცედურებს და ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას აღმოჩენილი ფაქტების, ანუ ჩატარებული შეთანხმებული პროცედურების ფაქტობრივი შედეგების შესახებ. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე ჩვენი გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას და არც არანაირ მარწმუნებელ დასკვნას ჩამოვაყალიბებთ.

თუ ჩვენ დამატებით სხვა პროცედურებსაც ჩავატარებდით, შესაძლოა ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა სხვა საკითხებიც, რომელთა შესახებაც ანგარიშში წარმოვადგენდით ინფორმაციას.

პროფესიული ეთიკა და ხარისხის მართვა

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) ეთიკური მოთხოვნები და ბესსს-ის კოდექსის 4ა ნაწილში განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტს (ხმსს) 1-ს „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის

მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის მართვის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

პროცედურები და აღმოჩენილი ფაქტები

ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები, რომლებიც შეთანხმებული იყო დამკვეთთან 2026 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული გარიგების წერილის შესაბამისად.

	პროცედურები	აღმოჩენილი ფაქტები
1	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისის მიღება;	1-ელ საკითხთან დაკავშირებით მივიღეთ და განვიხილეთ თანამშრომელთა უწყისი, რომელიც ხელმძღვანელობამ მოამზადა სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად, 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.
2	თანამშრომელთა უწყისში ჯამური თანხის შეჯერება 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ ფორმებში) „თანამშრომლებთან დაკავშირებული ვალდებულებების” თანხასთან;	მე-2 საკითხთან დაკავშირებით, თანამშრომელთა უწყისში მოცემული ჯამური თანხის შეჯერებისას 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „თანამშრომლებთან დაკავშირებული ვალდებულებების“ თანხასთან, შეუსაბამობა არ გამოგვივლენია.
3	თანამშრომლების დასტურის წერილების მიღება, შემოწმება და შედარება თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციასთან (არსებული დავალიანების თანხა, დავალიანების დაფარვის თარიღი და თანხა);	მე-3 საკითხთან დაკავშირებით მივიღეთ თანამშრომლების დასტურის წერილები და შევადარეთ ისინი თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციას. შეუსაბამობა არ გამოგვივლენია (დასტურის წერილებში სახელფასო ვალდებულებები მითითებულია ნეტო თანხით, გადასახადების გარეშე). კლუბის ხელმძღვანელობამ მოგვაწოდა ახსნა-განმარტებითი წერილები იმ თანამშრომელთა შესახებ, ვის მიმართაც კლუბს გააჩნია სახელფასო ვალდებულება და ვერ შეძლო დასტურის წერილის მოპოვება. კერძოდ: 1. თვარაძე ნუგზარი 2,080 ლარი (1,664 ლარი ნეტო) (გარდაიცვალა). 2. მელქაძე გიორგი 12,071 ლარი (9,463 ლარი ნეტო)- დავა; ჯამურად დასტურის წერილებით დადასტურებული სახელფასო ვალდებულება შეადგენს - 236,387 ლარს, ხოლო ახსნა-განმარტებით წერილებში მითითებული სახელფასო ვალდებულება შეადგენს - 14,151 ლარს (11,127 ლარი ნეტო).
4	ანგარიშის გამოშვების მომენტისათვის არსებული თანამშრომელთა ვალდებულებების შესახებ, რომელიც ეხება თანამშრომლებთან	მე-4 საკითხთან მიმართებაში შევამოწმეთ, რომ

	გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ან იურიდიული ვალდებულებებიდან 2026 წლის 31 აგვისტომდე წარმოქმნილ ვალდებულებებს, ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის გამოკითხვა: • დაფარულია თუ არა 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებული ყველა ვალდებულება; და/ან • მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ; • ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესი.	• კლუბს გააჩნდა ვალდებულება თანამშრომლების მიმართ 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, 250,538 ლარის ოდენობით (სახელფასო ვალდებულება მითითებულია გროს თანხით, გადასახადების ჩათვლით), რომელთაგან ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის დაფარულია 210,769 ლარის ოდენობის ვალდებულება (სახელფასო ვალდებულება მითითებულია გროს თანხით, გადასახადების ჩათვლით). კლუბს ამასთან დაფარული აქვს 2026 წლის 31 აგვისტოს შემდგომ წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ნაწილი. • კლუბის ხელმძღვანელობამ მოგვაწოდა სახელფასო ვალდებულების დასტურის წერილები, რომელთა მიხედვითაც გადახდა გადავადებულია შემდეგ თარიღებამდე: 1. რევიშვილი ნუკრი-2026 წლის 31 დეკემბერი 2. ტყებუჩავა თეიმურაზ-2026 წლის 31 დეკემბერი 3. რუხაძე დარეჯან-2026 წლის 31 დეკემბერი 4. ელბაქიძე ლუკა-2026 წლის 31 დეკემბერი 5. კომარ ოლექსანდრ-2026 წლის 30 ნოემბერი 6. კოპალიანი სოსო-2026 წლის 31 დეკემბერი 7. ოსტროვსკი ვლადისლავ-2026 წლის 30 ნოემბერი 8. პლიუშჩი რომანი-2026 წლის 30 ნოემბერი 9. ტოფაძე მათე-2026 წლის 31 დეკემბერი 10. ცარციძე საბა-2026 წლის 31 დეკემბერი 11. ცხოვრებაშვილი ნიკოლოზი- 2026 წლის 31 დეკემბერი. • მენეჯმენტთან გასაუბრებისა და მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე დადგინდა, რომ საანგარიშგებო პერიოდში არსებობდა შემდეგი დავები: 1. გოგოშვილი სანდრო - 2026 წლის 9 იანვარს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტში კლუბის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი. სანდრო გოგოშვილი კლუბში დასაქმებული იყო 2025 წლის 16 იანვრიდან 2025 წლის 16 დეკემბრამდე ექიმის თანამდებობაზე. საჩივრით მოთხოვნილია სახელფასო დავალიანების 1,942 ლარის ანაზღაურება.

		საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სანდრო გოგოშვილის სასარგებლოდ. დავა დასრულებულია და ყოფილი თანამშრომლისგან მიღებული დასტურის წერილის მიხედვით ვალდებულება სრულად ანაზღაურებულია საანგარიშგებო პერიოდში. 2. მაინრათ თიამ მაჰამათ - 2025 წლის 25 თებერვალს კლუბის ყოფილმა ფეხბურთელმა, მაჰამათ მაინრათმა (საფრანგეთის მოქალაქე), FIFA-ს მიმართა საჩივრით და მოითხოვა კონტრაქტით გათვალისწინებული ანაზღაურების გადახდა. FIFA-მ მიიღო გადაწყვეტილება ფეხბურთელის სასარგებლოდ და კლუბს დააკისრა 82,371.05 ევროს და წლიური 5%-იანი პროცენტის გადახდა ანაზღაურების სრულად დაფარვამდე. საანგარიშგებო პერიოდში მხარეებს შორის მიღწეულია მორიგება - შეთანხმდნენ 60,000 ევროს ანაზღაურებაზე, რომელიც სრულად გადახდილია. შესაბამისად, 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მაჰამათ მაინრათის მიმართ ვალდებულება თანამშრომელთა უწყისში ასახული არ არის. 3. მელქაძე გიორგი - 2026 წლის 30 მარტს ფეხბურთელმა გიორგი მელქაძემ (რუსეთის მოქალაქე) FIFA-ს დავების განმხილველ პალატას მიმართა საჩივრით კლუბის წინააღმდეგ და მოითხოვა სახელფასო დავალიანების - 34,175 ლარის (ნეტო) ანაზღაურება. დავა ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის მიმდინარეა. 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით გიორგი მელქაძის სახელფასო ვალდებულება თანამშრომელთა უწყისში ასახულია 12,071 (9,463 ლარი ნეტო) ლარის ოდენობით.
5	გადახდების დამადასტურებელი საბანკო ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისი საბანკო ამონაწერის შედარება ვალდებულებების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან (გადახდის თარიღი, თანხა).	მე-5 პუნქტთან მიმართებაში, ჩვენ შევადარეთ გადახდების დამადასტურებელი საბანკო ტრანზაქციები ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამის საბანკო ამონაწერს და ვალდებულებების ცხრილში მოცემულ ინფორმაციას (გადახდის თარიღი, თანხა) და უზუსტობები არ აღმოგვიჩენია.

ECOVIS®
GEORGIA AUDIT

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

22 ოქტომბერი, 2026

თბილისი, საქართველო